

ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა: ხელნაწერი მემკვიდრეობის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ეფექტური საშუალება

ირინა გოგონაია – დირექტორის მოადგილე; პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების, განვითარებისა და განათლების დეპარტამენტი; განათლების ფაკულტეტი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ვლადიმერ კეკელია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, არქივთმცოდნეობის განყოფილება, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, საქართველო

Kartvelological Summer School: Effective Tool of Integration Manuscript Heritage in Educational Area

Gogonaia Irina – Deputy Head; Professor at the Faculty of Education (Sokhumi State University), Department of the International Relations, Development and Education, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi, Georgia

Kekelia Vladimer – Senior Research Fellow, Department of Archival Studies, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi, Georgia

Abstract

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts has a significant experience in Kartvelological (Georgian) studies and in the study of Georgian written heritage. International Summer School “Georgian Manuscript” is considered an effective tool for introducing young Georgian and foreigner researchers with the gained knowledge and experience.

The goal of the project is: popularization of Georgian studies, encouragement of young students to be engaged in Kartvelological research projects, inspiration and development of the future international cooperation between the Centre and Summer school attendees.

The paper presents methodical approaches to develop program and content of the National Centre of Manuscripts’ International Summer School, which is focused on the topic of Georgian manuscript. Program highlights Georgian manuscript as a valuable source for studying Georgia’s cultural and political history in the Middle Ages. School program is structured in a way to assist listeners to understand that studying of the Georgian manuscripts implies studying of political and cultural issues linked with Georgia in the context of cultural dialogue between east and west.

Program involves 5 training modules, covered key areas of written heritage studies: Georgian manuscripts, Georgian script, Georgian historical documents, Georgian printed books, Private archives of Georgian writers and public figures. For example, the first module includes information about old Georgian scriptoria, writing materials and tools of Georgian manuscripts; essential structure of manuscript books (colophones, philological-codicological analysis), a review of the history of Georgian secular and ecclesiastical literature and manuscript collection. Beside ordinary lectures, program includes workshops, study tour of Centre’s collections, interactive programs, discussions, participant’s presentations.

Project achievements:

- Interdisciplinary content of the program;
- Implementing innovative methods of study in addition to traditional study procedures.
- Forming international team of multidisciplinary scientists;
- Encouraging students / young scientists to be involved in research projects relevant to the National Centre of Manuscripts;
- Introducing academic materials published by the Centre to the participants;
- Perspective of carrying out joint studies of the written heritage.

Participants were able to get acquainted with the main directions of research of the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts; they were given an opportunity to see the collections preserved at the depositories of the Centre. Through lectures, discussions, interactive program, workshops, and informal meetings students established valuable contacts with the scholars of the Centre and with foreign researchers, encouraging further study of the manuscript heritage.

Keywords: Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, collections, International Summer School "Georgian Manuscript", designing content.

თანამედროვე მსოფლიოში ისეთი ქვეყნები, რომელთაც აქვთ ორიგინალური სამწერლობო კულტურა, მით უფრო, საკუთარი დამწერლობა და მდიდარი ხელნაწერი მემკვიდრეობა, ყველა შესაძლო საშუალებით ეწევიან აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის პროპაგანდას, მათ შორის, საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების გზით, საერთაშორისო საზაფხულო სკოლების საშუალებით. საუკუნეების ისტორიის მქონე ქართული ხელნაწერი და უნიკალური ქართული დამწერლობა საჭიროებს მსგავს აქტიურ და კვალიფიციურ პოპულარიზაციას.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საქართველოში ხელნაწერი მემკვიდრეობის ძირითადი საცავია. ცენტრში მიმდინარეობს როგორც ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვა, სამეცნიერო კვლევა, ასევე, ექსპოზიცია და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. ცენტრში დაცულ კოლექციას სხვადასხვა მიმართულებით (კოდიკოლოგია, ტექსტოლოგია, წყარომცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა) წლების განმავლობაში იკვლევენ ცენტრის მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერები როგორც წლიური სამუშაოს, ასევე. ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ცენტრში აკუმულირებული ცოდნისა და გამოცდილების ახალგაზრდა ქართველი და უცხოელი მკვლევარებისათვის გაზიარების შესანიშნავი საშუალება აღმოჩნდა.

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ქართული ხელნაწერი“ მიზანია ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ქართული ხელნაწერის, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების პროდუქტის, მრავალმხრივობის აქცენტირება, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის - ქართული დამწერლობის - საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებისა და ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა; კორნელი კეკელიძისა და ილია აბულაძის მიერ დამკვიდრებული ქართველოლოგიური სამეცნიერო ტრადიციების გაგრძელების ხელშეწყობა.

საზაფხულო სკოლა გათვალისწინებულია ქართული ისტორიისა და კულტურის, განსაკუთრებით კი ხელნაწერი მემკვიდრეობის, შესწავლით დაინტერესებული როგორც უცხოელი მკვლევარებისათვის, ასევე, საქართველოს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისათვის (მაგისტრანტები, დოქტორანტები, მაგისტრები და დოქტორები), რომელთა სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ძირითად სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს (ძველი ქართული ფილოლოგია, წყარომცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, ხელნაწერი წიგნის კულტურა, რესტავრაცია, დიגיტალიზაცია და სხვ.).


2011-2014 წლებში კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“ ოთხჯერ ჩატარდა. უცხოელი ბენეფიციარები იყვნენ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული მიმართულების მეცნიერები: ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, ფილოლოგები და ენათმეცნიერები – ქართველოლოგები, ბიზანტინოლოგები, ოსმანისტები, სლავისტები.

2015 წელს ჩატარდა სეზონური სკოლა საქართველოს რეგიონული უმაღლესი სასწავლებლებისათვის. პროგრამის მონაწილეები იყვნენ მაგისტრანტები, მაგისტრები, დოქტორანტები და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ახალგაზრდა მეცნიერები.

2016 წელს განხორციელდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და უცხოელი მკვლევრების თანამონაწილეობით.


ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამებით მოცემულია 2011-2016 წლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საზაფხულო სკოლებში მონაწილეთა სტატისტიკა ქვეყნებისა და უნივერსიტეტების მიხედვით.

დიაგრამა №1. უცხოელი მონაწილეები ქვეყნების მიხედვით




ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ორიენტირებულია კონკრეტულ თემაზე - ქართული ხელნაწერი. სკოლის პროგრამა ისეა აგებული, რომ ხელი შეუწყოს მსმენელებს, გაიაზრონ ქართული ხელნაწერის შესწავლა, როგორც შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და კულტურული პრობლემატიკის კვლევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა კონტექსტში.

დიაგრამა №2. ქართველი მონაწილეები საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების მიხედვით



სკოლის პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ხუთ მოდულს: ქართული დამწერლობა, ქართული ხელნაწერი, ქართული ისტორიული დოკუმენტი, ქართული ნაბეჭდი წიგნი და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები. ეს მოდულები ასახავს ცენტრის კოლექციის ძირითად კატეგორიებს.

სქემა №1. ცენტრის კოლექცია



პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შემუშავება განხორციელდა ცენტრის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებზე ორიენტირებული მიდგომით. ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ქართული ხელნაწერი“ შინაარსი საშუალებას აძლევს მსმენელებს, განიხილონ ქართული ხელნაწერი, როგორც მსოფლიო ხელნაწერი მემკვიდრეობის ორგანული და განუყოფელი ნაწილი,

რომელშიც წარმოდგენილია თითქმის ყველა თანადროული კონცეპტუალური მხატვრული მიმართულება თუ ტენდენცია, ამავე დროს, აღიქვან ქართული ხელნაწერი, როგორც ქართული კულტურის ორიგინალური პროდუქტი, ხოლო ქართული დამწერლობა არა მხოლოდ როგორც თვითმყოფადი, უნიკალური ანბანური სისტემა, არამედ როგორც ფენომენი, რომელიც განაპირობებს ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ თავისებურებებს.

საზაფხულო სკოლის აკადემიური პროგრამა მოიცავს: ლექციებს, ლექცია-ექსკურსიებს, რომლებიც ტარდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე, გასვლით ლექციებს, დისკუსიებს, ვორქშოფებსა და ინტერაქტიულ პროგრამებს¹. სკოლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს მსმენელთა სამეცნიერო კვლევების პრეზენტაციებს, რომელთა წარმოდგენის აუცილებლობა გათვალისწინებულია სკოლის მონაწილეების მიმართ მოთხოვნებში, რაც წინასწარ ცნობილია სკოლაში მონაწილეობის მსურველებისთვის.


საზაფხულო სკოლის ფარგლებში ლექციებს კითხულობენ ქართველოლოგიის სფეროში ცნობილი ქართველი მეცნიერები. ლექციების ძირითად ნაწილს ატარებენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. პროგრამაში ჩართული არიან, აგრეთვე, საქართველოს უნივერსიტეტების პროფესორები, ასევე, უცხოელი სპეციალისტები.


სკოლის შემუშავებული პროგრამის ფარგლებში აკადემიური ლექციები და ვორქშოფები წარმოდგენილია იმ თანამიმდევრობით, რომელიც უზრუნველყოფს განსახილველ საკითხებს შორის თემატურ ბმას, ეს კი ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს აითვისონ მასალა და გაიაზრონ მისი გამოყენების პერსპექტივები თავიანთ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

ქვემოთ წარმოდგენილია სკოლის პროგრამა სქემა №2-ის სახით:

¹ ცენტრის საგანმანათლებლო ინტერაქტიული პროგრამების შესახებ დამატებით იხილეთ: ი. გოგონაია, *სიმულაციური თამაშის გამოყენება საარქივო მასალის საფუძველზე შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებში (სიმულაციური თამაშში „არქივისტი“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში)*; საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა – ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“, 1-3 სექტემბერი, 2016 – მასალები, თბილისი, 2017. გვ. 78-82; ვ. კეკელია, *ისტორიული დოკუმენტები, როგორც საგანმანათლებლო რესურსი*; საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა – ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“, 1-3 სექტემბერი, 2016 – მასალები, თბილისი, 2017. გვ. 83-89.

სქემა №2. სკოლის აკადემიური პროგრამის შინაარსი და ორგანიზაციული ფორმები





პროექტის მიღწევებად შეიძლება განვიხილოთ:

- პროგრამის ინტერდისციპლინური შინაარსი;
- სწავლების ტრადიციული მეთოდების გვერდით ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- აკადემიურ პროგრამაში უცხოელი ექსპერტ-მკვლევრების ჩართულობა;
- სკოლის მიერ სტუდენტების/ახალგაზრდა მეცნიერების კვლევითი საქმიანობის წახალისება იმ სფეროებში, რომლებიც შეესაბამება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს;
- მსმენელებისათვის ცენტრის მიერ გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა/გადაცემა;
- ხელნაწერი მემკვიდრეობის ერთობლივი სამეცნიერო კვლევების პერსპექტივა.

ასეთი კონცეფციით შემუშავებული საზაფხულო სკოლის შინაარსი, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა განხორციელდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოში დაცული მულტიკულტურული

ხელნაწერი მემკვიდრეობის ინტეგრაცია, მეორე მხრივ, ხელს უწყობს უცხოელ კოლეგებთან და სამეცნიერო ცენტრებთან კონტაქტების გაღრმავებას, რაც მათთან სამომავლო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის პერსპექტიულ გარემოს ქმნის.